პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

26 მაისი, სამშაბათი, 1987 წ.
№ 102 (9513) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



## რეკორდები და საპრიზო ადგილები

### მაია აზარაშვილმა და ბესიკ გოცირიძემ გაიმეორეს საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატობის ნორმატივი

**წახკაძორში** ჩატარებულ მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრებაზე რობერტ ემიანის ბრწყინვალე შედეგმა სიგრძეზე ხტომაში აშკარად დაჩრდილა სხვა მძლეოსანთა მიღწევები, თუმცა ზოგიერთმა საკმაოდ კარგად იასპარეზა. კარგად გამოვიდნენ საქართველოს სპორტსმენებიც. 100 მეტრზე რბენაში საქართველოს რეკორდი დაამყარა ბესიკ გოციძემ — 10,35 წამი, ეს დრო საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმატივს შეესაბამება, გოცირიძემ III ადგილი დაიკავა. ფინალური გარბენის მონაწილემ ზურაბ მემარნიშვილმა 10,60 აჩვენა.

ასევე საერთაშორისო კლასის შედეგი აჩვენა მაია აზარაშვილმა 200-მეტრიან დისტანციაზე — 22,55. ისიც მესამე ადგილზე გავიდა. სამივე სპორტსმენს რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი ევგენი გაგუა ავარჯიშებს.

საქართველოს რეკორდი გააუმჯობესა აგრეთვე შუბისმტყორცნელმა გენადი არჯევანიძემ (მწვრთნელი ნიკოლოზ ორფანოვი). მან სოჭის ქალაქკომის პრიზზე გამართულ საკავშირო შეჯიბრებაში მძლეოსნური იარაღი (ახალი მოდიფიკაციის) 75,46 ისროლა და ძველი მიღწევა, რომელიც მასვე ეკუთვნოდა, ერთბაშად 2,66 მეტრით გააუმჯობესა.

## სადაცა არს საუნჯე ჩვენი

### განვლილ კვირას თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე ჩატარდა ერთდროული სეანსი ჭადრაკში 700 დაფაზე.

**უჩვეულოდ** გამოიყურებოდა რესპუბლიკის მოედანი 23 მაისის საღამოს. აქ უამრავ მოჭადრაკესა და ჭადრაკის მოყვარულს მოეყარა თავი. ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველად ჩატარდა გრანდიოზული ღონისძიება — ერთდროული თამაშის სეანსი 700 დაფაზე. ამ თამაშის თაყვანისმცემლებს თავიანთ ხელოვნებას უჩვენებდნენ ცნობილი დიდოსტატები და საერთაშორისო ოსტატები: ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია, ბუხუტი გურგენიძე, თამაზ გიორგაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ზურაბ სტურუა, ალა ჩაიკოვსკაია, ქეთევან არახამია, ახალგაზრდები: ქეთევან კახიანი, ლაშა ჯანჯღავა, აგრეთვე საქართველოს ქალთა XI საერთაშორისო ტურნირის მონაწილე საბჭოთა და უცხოელი მოჭადრაკეები, რამდენიმე ადგილობრივი ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი.

საქართველოს სპორტსახკომისა და რესპუბლიკის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივით გამართული ეს შესანიშნავი ფორუმი ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ბევრი ჭადრაკის მოყვარული პირველად შეხვდა ცნობილ დიდოსტატებს.

საერთაშორისო ოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა პირველმა დაამთავრა სეანსი და ჩვენც მისკენ გავეშურეთ.

**ზურაბ აზმაიფარაშვილი:** დღევანდელი ღონისძიება განსაკუთრებული მოვლენაა ქართული ჭადრაკის ისტორიაში. სასურველია, გულშემატკივრებთან ასეთი შეხვედრა ტრადიციად იქცეს. აქ დიდი სიამოვნება მივიღეთ მოჭადრაკეებმაც და ჭადრაკის მოყვარულებმაც.

● **როგორი შედეგით დაამთავრეთ სეანსი?**

— ყველა შეხვედრა მოვიგე, თუმცა ჩემი მეტოქეები ძალიან

იხ. მე.2 გვ

### მშვიდობის ველორბოლა

## პირადშიც და გუნდურშიც

**მშვიდობის** ველორბოლის ბოლო, მე-14 ეტაპი ტაშკენტელმა ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვმა მოიგო, მაგრამ ამ გამარჯვებას ლიდერთა განლაგებაში ცვლილება არ შეუტანია.

გუნდური პირველი ადგილი გდრ-ის ველოსიპედისტებმა მოიპოვეს. სსრ კავშირის ნაკრებს მათ 52 წამით ჩამორჩა (სხვათა შორის, ეს სხვაობა ჯერ კიდევ მე-9 ეტაპზე გამოიკვეთა და შემდგომში მისი ლიკვიდაცია ვერაფრით ვერ მოხერხდა). მესამე ადგილზე პოლონელი სპორტსმენები გავიდნენ, რომლებმაც გამარჯვებულ კოლექტივთან 9 წუთი და 29 წამი წააგეს.

პირად ჩათვლაში, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველას გდრ-ის გუნდის ლიდერმა უვე ამპლერმა აჯობა. მეორე ადგილზე გავიდა ბულგარელი პეტარ პეტროვი (ამპლერთან 1 წუთი და 47 წამი წააგო), მესამეზე — პოლონელი ანჯეი მეჟეევსკი (2.44).

საბჭოთა ველოსიპედისტებს შორის საუკეთესო შედეგი (IV ადგილი) ჯომოლიდინ აბდუჟაპაროვს ჰქონდა, რომელიც გამარჯვებულს 4.08 წამით ჩამორჩა. დანარჩენი საბჭოთა სპორტსმენები არც ისე წარმატებით გამოვიდნენ. დიმიტრი კონიშევი — მე-8, ვლადიმერ პულნიკოვი მე-9, პიოტრ უგრიუმოვი — მე-17, ასიატ საიტოვი — მე-19, ვასილი ჟდანოვი — 33-ე ადგილი.

### სსრ კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში



**გუშინ...**

სპორტის სასახლეში შედგა მორიგი ტური: „ბურევესტნიკი" — „ნევა" — 24:23, სკიფ-ი — „ტირასპოლი" — 26:24, „გრანიტასი" — ასკ — 17:17.

დღეს ტურნირის მონაწილენი ისვენებენ, ხვალ კი ბოლოსწინა ტურში, „ბურევესტნიკი" სკიფ-ს შეხვდება.

### მჭობნის მჭობნი...

**სიმძიმეების** აწევაში საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიება ჩაატარა თბილისის სპორტის სასახლის ტერიტორიაზე საბურთალოს სპორტკომიტეტმა. 100-მდე კაცმა მიიღო მონაწილეობა ღია სარბიელზე გამართულ შეჯიბრებებში, მათ შორის იყვნენ სპორტის სასახლის ათლეტური წრის წევრები.

დიდი მოწონება ხვდა 61 წლის პენსიონერს გიორგი გიორგაძეს, რომელმაც ორი 24-კილოგრამიანი



გირი ოცჯერ ასწია და სპეციალური პრიზი დაიმსახურა. ჯილდოები გადაეცათ სხვა გამარჯვებულებსაც.

* * *

იმავე საღამოს გამარჯვების პარკში უამრავი მაყურებელი მიიზიდა ათლეტურ ტანვარჯიშში გამართულმა შეჯიბრებამ. აქ სულ 16 სპორტსმენი გამოვიდა. მათგან ოთხი წალოსანი თელავის პედაგოგიური ინსტიტუტიდან იყო მოწვეული. სტუმრებმა იყოჩაღეს — სოლიკო ჩეკურიშვილმა ორი 24-კილოგრამიანი გირი 53-ჯერ აზიდა და პირველი ადგილი დაიკავა.



**სურათებზე:** ხაჩვენებელი გამოსვლა სპორტის სასახლის წინ; გამარჯვებული სოლიკო ჩეკურიშვილი.

## თბილისის IX საერთაშორისო ტურნირი წყალბურთში



**ხვალ, თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის საწყლოსნო კომპლექსში იწყება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე წყალბურთელთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი.**

**გთავაზობთ პირველი ორი დღის კალენდარს: 27 მაისი. 17ს. აშშ — რუმინეთი, 18 სთ. ასპარეზობის საზეიმო გახსნის ცერემონიალი. 18 ს. 15 წ. იუგოსლავია — ბულგარეთი, 19 ს., 15 წ. საქართველო — საბერძნეთი.**

**28 მაისი. 10 ს. რუმინეთი — ბულგარეთი, 11 ს. საბერძნეთი — იუგოსლავია, 12 ს. საქართველო — სსრკ, 15 ს. ბულგარეთი — აშშ, (ამერიკელები ტურნირში პირველად გამოდიან), 18 ს. სსრკ — საბერძნეთი, 19 ს. რუმინეთი — საქართველო.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სადაცა არს საუნჯე ჩვენი

დასასრული

საინტერესოდ თამაშობდნენ...

— საქართველოში ჭადრაკი ისე უყვართ, ისე კარგად თამაშობენ, რომ ჩვენი გულშემატკივარი ღირსია ასეთი ღონისძიებებისა. ამ ფორუმმა ხალხს გამოჩენილ სპორტსმენებთან შეხვედრის საშუალება მისცა. ვფიქრობ, გულგრილი არავინ დარჩენილა, — გვითხრა



თამაშობს ქეთინო კახიანი.

კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის განყოფილების გამგემ რომან შოთაძემ.

დიდი ხალისით თამაშობდა დიდოსტატი ნანა ალექსანდრია. მისთვის ჩვეული სითბოთი ესაუბრებოდა ბავშვებს — თავის პატარა „მეტოქეებს" და თან რჩევებსაც აძლევდა. სეანსის დამთავრების შემდეგ ნანამ შთაბეჭდილება გაგვიზიარა.

— საინტერესოა ჭადრაკის მოყვარულებთან თამაში. პირადად მე დღევანდელმა დღემ დიდი სიხარული მომიტანა. ეს ღონისძიება უთუოდ შეუწყობს ხელს ჭადრაკის შემდგომ პოპულარიზაციას.

● **დღემდე მიგიღიათ მონაწილეობა ამგვარ ღონისძიებაში?**

— ყოველ ცხრა მაისს მოსკოვში იმართება ერთდროული თამაშის სეანსი 500 დაფაზე. მახსოვს, 1985 წელს იქ გრანდიოზული სეანსი მოეწყო 1000 დაფაზე. მაშინ თამაში პირველმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა დაამთავრა. მან 20 შეხვედრიდან ყველა მოიგო. შესანიშნავი დღე იყო. ეს ძალიან კარგი ტრადიცია აქვთ მოსკოველებს...

სეანსიორთა შორის ჩვენი სტუმარი, თბილისის საერთაშორისო ტურნირის მონაწილე, რუმინელი





ნონა გაფრინდაშვილი, ნანა ალექსანდრია და მათი მეტოქეები. (ა. კოტორაშვილისა და საქინფორმის ფოტოები).

მოჭადრაკე ლიჯია ჟიკმანიც გახლდათ. სახეზე ეტყობოდა, გახარებული რომ იყო. ინტერვიუზეც ხალისით დაგვთანხმდა:

— საქართველოში ყოფნისას არ შეიძლება არ იგრძნო, რომ აქ ჭადრაკი ძალიან უყვართ, პირველად ვხედავ ამდენ გულშემატკივარს და სპორტის ამ სახეობისადმი ასეთ ინტერესს. მეგონა, ჩვენთან იყო ძალიან პოპულარული ჭადრაკი, მაგრამ ამ დღემ აზრი შემაცვლევინა. ჭადრაკის ამდენი კარგად მოთამაშე არსად მინახავს.

ლიჯიასთან ვსაუბრობდით, როცა გამოაცხადეს, რომ იგი დათო ჩიჩუასთან შეხვედრაში დამარცხდა.

— ჩემი და ჟიკმანის პარტია საკმაოდ დაძაბული იყო და დიდხანს გაგრძელდა. თავიდანვე მოგებაზე ვფიქრობდი. ჟიკმანს დაზავება სურდა, მაგრამ გადავწყვიტე ბოლომდე მებრძოლა და შეხვედრა მოვიგე. დღევანდელი დღე არასოდეს დამავიწყდება, — გვითხრა თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეხუთე კურსის სტუდენტმა დათო ჩიჩუამ.

შემდეგ პოლონელ მოჭადრაკეს ლილიანა ლეშნერს გავესაუბრეთ.

— ამგვარ ღონისძიებაში მხოლოდ ერთხელ მივიღე მონაწილეობა ჩვენთან პოლონეთში, თუმცა ის გაცილებით მცირე მასშტაბისა იყო. დღევანდელი დღე განსაკუთრებულია ჩემთვის. საკუთარი თვალით ვნახე, როგორ უყვართ ჭადრაკი საქართველოში. ჩემს მეტოქეთაგან ზოგიერთმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

განსაკუთრებით ბევრ ხალხს მოეყარა თავი იმ კვადრატთან, სადაც ჩვენი სახელოვანი ნონა გაფრინდაშვილი თამაშობდა. ქალბატონი ნონა მართლაც სამაგალითოდ, მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით ატარებდა სეანსს. დიდოსტატ თამაზ გიორგაძეს ისის იყო დაემთავრებინა თავისი სეანსი.

● **ბატონო თამაზ, უკვე რამდენიმე წელია ესპანეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელი ბრძანდებით. ესპანეთში თუ ჩატარებულა ამგვარი სეანსი?**

— მგონი არა. ყოველ შემთხვევაში, მე არ მიმიღია მონაწილეობა ასეთ ფართო ფორუმში. დღევანდელმა ღონისძიებამ მოჭადრაკეებიც გაგვახალისა და ჭადრაკის მოყვარულებიც. იგი გასცდა თავისი მნიშვნელობის ფარგლებს და ჭადრაკის რეკლამად იქცა. კარგი იქნება, თუ ასეთი შეხვედრები ხშირად ჩატარდება.

...ლამაზი სანახავი იყო იმ დღეს რესპუბლიკის მოედანი. აქ შეკრებილთ შეეძლოთ ეთქვათ: ჭადრაკი ჩვენი საუნჯეა და ამიტომ განსაკუთრებით გვიყვარს იგი. სადაც ჩვენი საუნჯეა, ჩვენი გულებიც იქ არის.

**ია მელიქიძე.**

---

„კულტურისა და სპორტის ობიექტების მუშაობა არსებითად რომ გარდავქმნათ, უფრო გაბედულად უნდა მოვიშოროთ თავიდან შტამპი და სტერეოტიპები... და, რაც ყველაზე მთავარია, ნიადაგ ვიჩენდეთ ინიციატივას, შემოქმედებით მიდგომას. რატომ არ შეიძლება, მაგალითად, გადავაქციოთ კულტურის სახახლეები, კლუბები, ბიბლიოთეკები, პარკები, სპორტული ნაგებობანი ფართო პროფილის ცენტრებად..."

საქართველოს პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრების (1985 წ.) მასალებიდან.

# ჯერჯერობით პერსპექტივა, მომავალში?

**დილეტანტი** ბოტანიკოსები შევთანხმდეთ: ტყე, სადაც ხეები, ყვავილები და მინდვრებია — ერთია, ხოლო დიდი ბაღი, რომელშიც ხეივნები, ყვავილნარები და სათამაშო მოედნებია — მეორე. ასეა თუ ისე, ფლორის ერთ წარმომადგენელს, უბრალოდ, ტყეს უწოდებენ, ხოლო მეორეს ინგლისელებმა პარკი დაარქვეს. მათ შორის ის განსხვავებაა, რომ პარკში ფაუნის ისეთი მაღალი რანგის წარმომადგენლის ხელი ურევია, როგორიც ადამიანია. სიტყვებსაც დააკვირდით: ხეები — ხეივანი, ყვავილები — ყვავილნარი, მინდვრები — სათამაშო მოედნები და კიდევ ერთი ძირეული განსხვავება — პარკები, როგორც წესი, დასახლებული ადგილების, ქალაქების ტერიტორიაზეა. უცხო სიტყვათა ლექსიკონში პარკის განმარტებას ზემოთ მოყვანილი სიტყვების გარდა ერთი თითქოსდა უმნიშვნელო სიტყვა აქვს დართული „...სათამაშო მოედნები და სხვა". „და სხვაა" სწორედ ის, რისთვისაც პარკს ეწოდება კულტურისა და დასვენების პარკი — ატრაქციონები, სხვადასხვა გასართობი, ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსები.

ახლა მოგახსენებთ ასეთი ვრცელი განმარტებით რატომ დავიწყეთ. რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკს ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების მიხედვით ძნელად თუ უწოდებს კაცი პარკს. იგი მხოლოდ იმით თუ დაიკვეხნის, რაც ბუნებას მისთვის უხვად მიუცია. ადამიანის ხელი ნაკლებად იგრძნობა... თუმცა, როგორც პარკის დირექციის წარმომადგენლები ირწმუნებიან, მხოლოდ ჯერჯერობით.

ჯერჯერობით იმიტომ, რომ მალე აქ მწყობრში ჩადგება ხელოვნური წყალსაცავი, ეგრეთ წოდებული ტბა, რომელიც საშუალებას მისცემს რუსთავის „პარკს" ღირსეულად ატაროს კულტურისა და დასვენების პარკის სახელი, აალორძინებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ-მასობრივ მუშაობას, რაც ესოდენ საჭიროა მოსახლეობის აქტიური დასვენებისათვის და რაც კულტურისა და დასვენების ობიექტების აუცილებელი ფუნქციაა. რა გაკეთდა დღემდე ამ მხრივ? შეიძლება ითქვას, ბევრი არაფერი, თუ არ ჩავთვლით მაგიდის ჩოგბურთის ინვენტარის გამქირავებელ პუნქტს, რომელიც აქ ერთადერთი მოქმედი „სპორტული ობიექტია". არსებული კალათბურთისა და ფრენბურთის მოედანი მოუწესრიგებელია, დაწყებულია ქართული ჭიდაობის არენის კეთილმოწყობა, რომელსაც დროულად დამთავრება სჭირდება. შემოღობილია ჩოგბურთის მოედანი, მაგრამ ინვენტარი აკლიათ. ამ ობიექტებს ლითონკონსტრუქციების ქარხანა, საწარმოო გაერთიანება „აზოტი" და ქალაქის საბჭოს აღმასკომის საბინაო ტრესტი მეურვეობენ. იგი წელსვე უნდა დამთავრდეს. დრო არ ითმენს, რადგან ამ საკითხზე რუსთავის ქალაქკომისა და აღმასკომის დადგენილება ჯერ კიდევ 1985 წლის 2 დეკემბერსაა მიღებული. აქედან გამომდინარე, თავისთავად ცხადია, რა სიძნელეების წინაშე დგას პარკის დირექცია და როგორია აქ ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის დონე. ამას ერთვის ისიც, რომ აქამდე ფიზკულტურის მეთოდისტის შტატიც არ ჰქონდათ. თავისთავად სპორტული მომსახურებით მიღებული შემოსავალი უმნიშვნელოა. ამიტომ ადვილი გასაგებია, რომ პარკის ხელმძღვანელობა რეზერვის უქონლობას უჩივის. ეს ასეა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ. ასეთ რთულ პირობებშიც კი შეიძლებოდა გამოსავლის მონახვა, თუ პარკის ხელმძღვანელობის მხრიდან მეტი დაინტერესება და გამომგონებლობა იქნებოდა. რა თქმა უნდა, სპორტკომიტეტის გამოცდილ მუშაკებსაც შეეძლოთ ხელის გამართვა.

მაგრამ, იმედია, საქმე მალე გამოსწორდება — რუსთავის კულტურისა და დასვენების პარკი მოსახლეობის აქტიური დასვენებისა და გართობის ნამდვილ კერად გადაიქცევა. ბევრი რამ დამოკიდებულია ზემოთ ნახსენებ ტბაზე. ამჟამად მიმდინარეობს ტბის ფსკერის გასაწმენდი სამუშაოები, ამ საქმეში ჩაბმულია ქალაქის თითქმის ყველა წამყვანი საწარმო-მეურნეობა, მათ ივალდებულეს 6 ივნისისათვის დაამთავრონ სამუშაოები, რასაც აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ვ. ჭეიშვილი უწევს კონტროლს. ტბის მწყობრში ჩადგომისთანავე დირექციას განზრახული აქვს მოაწყოს ნავების გამქირავებელი პუნქტი (ცამეტი ახალი ნავი უკვე აქვთ, ოცსაც მალე მიიღებენ), კეთილმოაწყოს პლაჟი, საჩრდილობლებითა და სხვადასხვა ატრაქციონით; ტბის ბაზაზე ივარჯიშებენ ქალაქის ნიჩბოსნებიც; შესაძლებელი გახდება შეჯიბრებების ჩატარება წყალჯომარდობაში. კარგი იქნება, თუ წყალსათხილამურო ინვენტარის პუნქტიც გაიხსნება. ერთი საინტერესო ჩანაფიქრიც აქვთ: გარკვეული პერიოდის შემდეგ აქ ლიფსიტებს გაუშვებენ და თევზაობის მოყვარულებსაც თავისი „კუთხე" ექნებათ. ვიმეორებთ, ტბის ამოქმედებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული, მათ შორის ფინანსური პრობლემის გადაჭრაც. ერთი სიტყვით, მუშაობის გარდაქმნის პერსპექტივა არის, მით უფრო, რომ პარკის დირექციას ახლახან ფიზკულტურის მეთოდისტის შტატიც დაემატა.

კიდევ ერთი: გარკვეული სიძნელეების გადალახვის შემდეგ (თუ წყალსაცავს ორ ასეულ მეტრ ფართობს მივუმატებთ) აქ შეიძლება საერთაშორისო შეჯიბრებებიც კი ჩატარდეს. პერსპექტივა? თავად განსაჯეთ: ტბა არა მარტო პარკის, არამედ მთელი ქალაქის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის დიდ ნაწილს იტვირთებს.

**მახტანგ ნადირაძე,**
**„ლელოს" სპეც. კორ.**

რუსთავი.

მსოფლიო თასის გათამაშება სასტენდო სროლაში

# ოლიმპიადის საგზურისთვის

**მესტენდურეებს** ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლის უფლების მოსაპოვებლად მეტად რთული ლაბირინთის გავლა უხდებათ. მათ საგანგებოდ დაწესებულ მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში უნდა დაამტკიცონ თავიანთი მაღალი კვალიფიკაცია და სათანადო ადგილი დაიკავონ. მხოლოდ ამის შემდეგ მოიპოვებენ ისინი ვაკანტურ ადგილებს ოლიმპიურ თამაშებზე. აქვე ვიტყვით, რომ მოიპოვებენ არა თავისთვის, არამედ ქვეყნის ნაკრებისთვის. დიახ, გუნდის ხელმძღვანელებს უფლება აქვთ შეხედულებისამებრ გამოიყენონ ეს საგზური, ე. ი. სხვა სპორტსმენი გაგზავნონ ოლიმპიადაზე.

მოსკოვში, მიტიშჩის ოლიმპიურ სასროლეთზე მსოფლიო თასისა და „მოსკოვის დიდი პრიზის" გათამაშებაზე მხოლოდ გამარჯვებულს ეძლეოდა სეულის ოლიმპიადის საგზური. ბევრი სახელოვანი მესტენდურე პირად პირველობაში ამ ერთადერთი სანუკვარი ლიცენზიისთვის იბრძოდა და ბევრწილად ამან განაპირობა შეჯიბრებების მაღალი დონე.

ცნობისათვის ვიტყვით, რომ ჩვენი ქვეყნის ნაკრებს სასანგრე სროლაში უკვე სამი ოლიმპიური ლიმიტი აქვს მოპოვებული, მრგვალ სტენდზე კი — არც ერთი. ამიტომ თამაზ იმნაიშვილის, ვალერი ტიმოხინისა და ალექსანდრე ჩერკასოვის წინაშე გუნდურ პირველობაში გამარჯვების გარდა, კიდევ ერთი, ასევე მეტად ძნელი და საპატიო ამოცანა იდგა — შინ დაეტოვებინათ პირადი პირველობის მთავარი პრიზი და მასთან ერთად რასაკვირველია, ოლიმპიადის საგზურიც.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ სამი სპორტსმენიდან ფინალში მხოლოდ ჩერკასოვი მოხვდა. თამაზ იმნაიშვილს ერთი ქულა დააკლდა იმისათვის, რომ ექვს საუკეთესო სპორტსმენს შორის გასულიყო და პრიზისათვის ბრძოლა გაეგრძელებინა.

მსროლელთა ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაზე, სადაც 10-12 დაახლოებით თანაბარი ძალის ოსტატი გამოდის, ერთ უმნიშვნელო, გაუთვალისწინებელ შემთხვევასაც ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. მიზეზად შეიძლება გახდეს მეზობელი სექტორიდან გამოფრენილი დაუზიანებელი თეფში, ანდა მოულოდნელი გასროლა ერთი სპორტსმენისა, როდესაც მეორე „ძნელი თეფშის" დასაზიანებლად ემზადება.

თამაზ იმნაიშვილმა შეჯიბრების დასკვნით დღეს კარგად ჩაატარა პირველი სერია — 25-ვე სამიზნე დაამსხვრია, ბოლო სერიაში კი დიდი ყურადღება დაუთმო მესამე საცეცხლე პოზიციას, სადაც მან ადრე სამი შეცდომა დაუშვა. ეს „ბეწვის ხიდი" იმნაიშვილმა წარმატებით გაიარა, მაგრამ შემდეგ სამიზნეს იქ ააცდინა, სადაც არავინ ელოდა. საბოლოოდ თამაზმა 195 ქულა მოაგროვა. ფინალური ექვსეულის ბოლო მონაწილეს, მოსკოვის ოლიმპიადის ჩემპიონს დანიელ რასმუსენს 196 ქულა ჰქონდა.

საწყენია, რომ ჩვენი სპორტსმენი ფინალში ვერ მოხვდა. მართალია, რამდენიმე მსროლელი მას 2-3 ქულით უსწრებდა, მაგრამ ფინალში ისე „აიმღვრა წყალი", რომ ჩვენი სპეციალისტები ამბობდნენ — ეს იმნაიშვილის ფინალი იქნებოდაო.

ჩეხოსლოვაკიელმა პეტერ მალეკმა, რომელსაც 200 გასროლიდან 199 ქულა ჰქონდა, ფინალურ სერიაში ე. ი. 25 გასროლაში 3-ჯერ ააცილა სამიზნეს. ჩერკასოვი და სხვა სპორტსმენებიც ხშირად ცდებოდნენ. საბოლოოდ ყველას იტალიელმა მსროლელმა, ლოს-ანჯელესის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორმა ლუკა სკრიბანი როსიმ აჯობა — 221 ქულა. მეორე ადგილზე გავიდა იან ჰულა (ჩეხოსლოვაკია) — 220, მესამეზე — იტალიელი კლაუდიო ჯოვანანჯელო — 220 (ამ ორ სპორტსმენს შორის დამატებითი სროლა პირველ აცდენამდე ჰულამ მოიგო).

გია შენგელიას ორი დღის შემდეგ 146 ქულა ჰქონდა და კიდევ შეეძლო საპატიო ადგილი დაეკავებინა მსოფლიოს უძლიერეს მსროლელთა შორის, მხოლოდ ბოლო სერიაში დაშვებულმა ორმა შეცდომამ შეუშალა ხელი ჩვენს მსროლელს და მან 194 ქულით დაამთავრა შეჯიბრება.

რაც შეეხება იუნიორებში მოასპარეზე ლაშა ასეიშვილს, ეს შეჯიბრება თბილისის 165-ე სკოლის მეათეკლასელთათვის, პირველ რიგში გამოცდილების მისაღებად, კარგი სკოლა იყო. ლაშამ ცალკეულ სერიებში კარგად ისროლა, თუმცა საბოლოოდ მას უფრო გამოცდილმა მეტოქეებმა აჯობეს.

ივნისის შუა რიცხვებში ევროპის ჩემპიონატი გაიმართება. იქ ერთბაშად 7 ოლიმპიური საგზური თამაშდება. ასე რომ, სპორტის დამსახურებულ ოსტატს თამაზ იმნაიშვილს, რომელიც ჩვენი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელთა აზრით, გუნდში კვლავ № 1 სპორტსმენად რჩება, შეუძლია თავის სასარგებლოდ გამოიყენოს ეს ხელსაყრელი შემთხვევა.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**
**(„ლელოს" სპეც. კორ.).**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

**გუშინ** დაიწყო სსრ კავშირის 50-ე საფეხბურთო ჩემპიონატის XI ტურის მატჩები.

მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ცსკა და დონეცკის „შახტიორი“. თამაში დამთავრდა დონეცკელთა გამარჯვებით — 2:1.

დღეს და ხვალ გაიმართება ტურის სხვა შეხვედრები. **ლანჩხუთში ადგილობრივი „გურიისა“ და თბილისის „დინამოს“ დღევანდელ შეხვედრას საქართველოს ტელევიზია გადასცემს 20 საათიდან.**

## I ლიგა

**გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების XII ტურის შეხვედრები.**

საქართველოს ორივე გუნდი სტუმრად გამოდიოდა. ქუთაისის ტორპედოელები ქ. აბოვიანში ანგარიშით 0:2 დამარცხდნენ ადგილობრივ „კოტაიკთან“, ხოლო ბათუმის დინამოელებმა ორჯონიკიძეში წააგეს „სპარტაკთან“ — 0:1.

სხვა შეხვედრათა შედეგები: „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 2:1, „კუზბასი“ (კემეროვო) — „როსტსელმაში“ (დონის როსტოვი) 1:1, „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:0, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „კოლოსი“ (ნიკოპოლი) 1:1, ასკ (დონის როსტოვი) — „ფაკელი“ (ვორონეჟი) 1:0, „ზარია“ (ვოროშილოვგრადი) — „როტორი“ (ვოლგოგრადი) 4:0, „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი) — „შინიკი“ (იაროსლავლი) 2:1 „გეოლოგი“ (ტიუმენი) — „დაუგავა“ (რიგა) 0:1.

## II ლიგა

**გუშინ** თბილისის გ. დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სტადიონზე შედგა II ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების მე-9 ტურის მატჩი, თბილისის „შევარდენი“-სპი-მ მიიღო სუმგაითის „ვოსხოდი“.

ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

## საქართველოს პირველობა

**განვლილ შაბათ-კვირას შედგა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის XV ტურის მატჩები I ჯგუფის გუნდებს შორის:**

დიდ ინტერესს იწვევდა 24 მაისის მატჩი წყალტუბოში, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ გათამაშების ლიდერები — ადგილობრივი „შადრევანი“ და ჩხოროწყუს „სამეგრელო“.

ამ მატჩს დაესწრო „ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი **თამაზ ხარაბაძე.** მან შეგვატობინა, რომ ლიდერებმა თავიანთი რანგის შესაბამისად ჩაატარეს ეს შეხვედრა, ორივე გუნდი იბრძოდა დიდი მონდომებით, ენერგიულად, სტადიონზე სრული წესრიგი სუფევდა, ფეხბურთელები კორექტულად იბრძოდნენ, ტრიბუნებიც ინტერესით ადევნებდნენ თვალს თამაშს. მასპინძლებს გარკვეული ტერიტორიული უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ ბურთის გატანა მათ ვერ შეძლეს, მეტოქეებმა თანაბრად გაიყვეს ქულები — 0:0.

მსაჯებმა კარგად გაართვეს თავი ამ რთულ მატჩს. არბიტრი იყო რუსთაველი ჯ. წერეთელი, მას ეხმარებოდნენ თბილისელები მ. კობიაშვილი და ლ. ჩიტაია. სასიამოვნოა, რომ ლიდერებმა ეს მეტად საპასუხისმგებლო, ძნელი თამაში ასე კორექტულად, დისციპლინიანად ჩაატარეს, თუმცა „მცირეოდენი“ დარღვევები მაინც მოხდა: დროის განზრახ გაყვანისთვის არბიტრმა გააფრთხილა „სამეგრელოს“ ფეხბურთელები ბენდელიანი და კვირკველია.

„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სქური“ (წალენჯიხა) 2:1, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „იმერეთი“ (ქუთაისი) 4:1, „დურუჯი“ (ყვარელი) — ახალგაზრდულ ი საფეხბურთო სკოლა (თბილისი) 2:0, „დინამო“ (ზუგდიდი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0, „ამირანი“ (ოჩამჩირე)— „სპარტაკი“ (თერჯოლა) 2:0, „ეგრისი“ (ცხაკაია)— „არმაზი“ (მცხეთა) 1:0 „მადნეული“ (ბოლნისი) — „ქართლი“ (გორის რ-ნი) 4:1, „მერცხალი“ (მახარაძე) — „სპარტაკი“ (ცხინვალი) 3:1, „სულორი“ (ვანი) — „კოლხეთი“ (ხობი) — 2:1. „დინამო“ (გაგრა) — ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — 1:1

# ევროპის ჩემპიონატები

**გუშინ** საფრანგეთის ქალაქებში დაიწყო ჭაბუკ ფეხბურთელთა (1970-71 წლებში დაბადებულნი) ევროპის ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირები.

სსრ კავშირის ნაკრებმა პირველი მატჩი საფრანგეთის გუნდთან გამართა, 27 მაისს შეხვდება ავსტრიის, ხოლო 29 მაისს ნორვეგიის ნაკრებს.

საბჭოთა ნაკრების კარს იცავს ლენინგრადის „სმენის“ აღზრდილი ი. ოყროშიძე, თავდასხმაში გამოდიან სოხუმელი ფეხბურთელები ი. გელენავა და ს. არუთინიანი.

მალე 1969-70 წლებში დაბადებულ ფეხბურთელთა საკავშირო ნაკრებიც ჩაებმება კონტინენტის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში. ჩვენი გუნდი 26 ივნისს სტუმრად გამართავს საკვალიფიკაციო მატჩს რუმინეთის ნაკრებთან. ამ შესარჩევ ჯგუფში სსრ კავშირისა და რუმინეთის ფეხბურთელებთან ერთად გამოდიან, აგრეთვე, თურქეთისა და ავსტრიის გუნდებიც. აქ უკვე გაიმართა ერთი მატჩი, რუმინელებმა ანგარიშით 3:1 დაამარცხეს თურქეთის გუნდი.

ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში გამოდიან მეკარე გ. მაკასარაშვილი, მ. კალატოზიშვილი და ბ. ოდიშვილი. სამივე ეს ფეხბურთელი თბილისის „ნორჩი დინამოელის“ აღზრდილია.

საპასუხო მატჩს რუმინეთის ნაკრებთან ჩვენი ფეხბურთელები 26 ოქტომბერს გამართავენ თბილისში.

• • •

## II ჯგუფი

გეტებორგში შედგა ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი შვეციისა და მალტის გუნდებს შორის. მასპინძლებმა მხოლოდ მინიმალური ანგარიშით შეძლეს მეტოქის დამარცხება — 1:0, ერთადერთი ბურთი მე-14 წუთზე გაიტანა ექსტრიომმა.

შვედებმა თავიანთ შესაძლებლობაზე აშკარად დაბლა ითამაშეს, უკმაყოფილო დარჩა მატჩზე მოსული 16 ათასი მაყურებელი, უკმაყოფილონი არიან აქაური მიმომხილველები და თვით ფეხბურთელებიც. შვეციის ნაკრების კაპიტანმა ნორდინმა განაცხადა: „ნაკრების ფეხბურთელებმა არაფერი გააკეთეს საიმისოდ, რომ ეს გამარჯვება დაემსახურებინათ“.

### გათამაშების ცხრილი:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 4 | 4 | 0 | 0 | 11-2 | 8 |
| შვეცია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-1 | 7 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 1 | 2 | 7-7 | 3 |
| პორტუგალია | 4 | 0 | 3 | 1 | 4-5 | 3 |
| მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 3-19 | 1 |

**22 მაისს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური მატჩი ფეხბურთში. თბილისის III სამედიცინო სასწავლებლის ფეხბურთელ ქალთა გუნდს სტუმრად ეწვივნენ ქუთაისელი გოგონები, საინტერესო შეხვედრა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით — 2:0.**

**ჩვენს სურათებზე ამ ამხანაგური შეხვედრის ეპიზოდებია აღბეჭდილი. მარცხნივ — ფეხბურთელი გოგონები შეუპოვრად იბრძოდნენ მწვანე მინდორზე; მარჯვნივ — ფეხბურთელ ვაჟთაგან განსხვავებით ქალები სულ სხვაგვარად ემზადებიან მინდორზე გასვლის წინ. „კოსმეტიკა — უპირველეს ყოვლისა“, სწორედ ამ საქმით არიან ახლა გართული თბილისელი ფეხბურთელი ქალები.**

ფელიქს კრიმსკის ფოტო.





## საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ხელბურთში

# „ძნელი“ ქულები და წითელი ბარათი... მწვრთნელს

**ახლა,** როცა უმაღლესი ლიგის ხელბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატი, ასე ვთქვათ, ფინიშის სწორზე გადის, ყოველ მატჩს, ყოველ ქულას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ეს ერთნაირად ეხება როგორც ოქროს მედლებისათვის მებრძოლ ექვსეულს, ისე VII-XII ადგილების „პოტენციურ მაძიებლებს“, რომლებიც უკვე სამი დღეა ურთიერთობას არკვევენ თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე.

მოხდა ისე, რომ გათამაშების აუტსაიდერი — თბილისის „ბურევესტნიკი“ კალენდრის წყალობით პირველსავე მატჩში შეხვდა თავის მთავარ მეტოქეს სპორტკლუბ „ტირასპოლის“ გუნდს, რომელიც მასსავით სატურნირო ცხრილის საშიშ ზონაში იმყოფება. გვეგონა, ჩვენი ხელბურთელები, რომელთაც უკან დასახევი გზა მოჭრილი აქვთ, თავდაუზოგავად იბრძოლებდნენ, საკუთარ სარბიელზე აიღებდნენ მეტად საჭირო ორ ქულას და... ამდენივე ქულას დააკარგვინებდნენ თავიანთ უშუალო მეტოქეს, მაგრამ ასე არ მოხდა, როგორც გაუწყეთ ეს მატჩი „ტირასპოლმა“ მოიგო — 24:18.

კვირას ბურევესტნიკელები შეხვდნენ გაცილებით ძლიერ მეტოქეს — კიეველ არმიელებს, რომლებიც თბილისში ქულათა საკმაო მარაგით (21) ჩამოვიდნენ და პირველსავე მატჩში სძლიეს ლენინგრადელებს. ამ დღეს ჩვენმა ხელბურთელებმა უფრო ენერგიულად იბრძოლეს — 4 ქულის სხვაობით (12:8) მოიგეს პირველი ტაიმი და შესვენების შემდეგაც კარგახანს შეინარჩუნეს უპირატესობა. მაგრამ შეხვედრის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე სტუმრებმა გაათანაბრეს ანგარიში (17:17). აქვე უნდა ითქვას, რომ თბილისელებმა (სამჯერ — აბესაძემ, ერთხელ — მიხუტამ) ზედიზედ ვერ გამოიყენეს ოთხი 7-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა. მიუხედავად ამისა, დემეტრაშვილმა მაინც დააწინაურა თავისი გუნდი. შემდეგ იმავე მიხუტამ და აბესაძემ „გამოისყიდეს დანაშაული“ და ზუსტი ტყორცნებით აიღეს მეტოქის კარი. უკრაინელმა ხელბურთელებმა კი ეს მხოლოდ ერთხელ შეძლეს. 20:18 — გაიმარჯვა თბილისის „ბურევესტნიკმა“.

აქვე არ შეიძლება ყურადღება არ შევაჩეროთ ერთ ფაქტზე. კიეველთა უფროსი მწვრთნელი, უკრაინის დამსახურებული მწვრთნელი ლეონიდ ზახაროვი მთელი მატჩის მანძილზე უკმაყოფილო იყო მსაჯების „არაობიექტურობით“ და არც უცდია სათადარიგოთა სკამზე მჯდარი გუნდის წევრთა დაშოშმინება. თავშეუკავებლობით განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ სპორტის ოსტატი ს. გერია (№ 6) და ოსტატობის კანდიდატი ს. ბებეშკო (№ 7), სამწუხაროდ, მათ მხარს უბამდა გუნდის ექიმიც. განაწყენებულები დაუსრულებლად ეკამათებოდნენ მოედნის მსაჯებს, მთავარ მსაჯს, შეჯიბრების ხელმძღვანელებს, ერთი სიტყვით, ხელს უშლიდნენ ასპარეზობის ნორმალურ ჩატარებას. შეხვედრის არბიტრებმა, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯებმა პიოტრ ოჩერეტინმა (მოსკოვი) და მარკ სიროტენკომ (ტაშკენტი) რამდენჯერმე მოუწოდეს მათ წესრიგისაკენ, გააფრთხილეს ლ. ზახაროვი, ბოლოს იძულებული გახდნენ წითელი ბარათი ეჩვენებინათ მისთვის, რაც იმას ნიშნავდა, რომ უფროს მწვრთნელს მოედანი უნდა დაეტოვებინა და ტრიბუნაზე გადასულიყო. მაგრამ ლ. ზახაროვი არც ტრიბუნაზე მჯდარი იშლიდა თავისას... ისმის კითხვა: რა მაგალითი უნდა აჩვენოს თავის აღსაზრდელებს ასეთმა მწვრთნელმა, რომელიც პატივს არ სცემს არც საკუთარ თავს, არც მეტოქეს და არც მაყურებელს?

იმ დღეს კიდევ ორი მატჩი გაიმართა. კრასნოდარის სკიფ-მა დაამარცხა ლენინგრადის „ნევა“ — 28:21, კაუნასის „გრანიტასმა“ — სპორტული კლუბი „ტირასპოლი“ — 26:24.

## რეგბი

### „მშენებელი“ ლიდერობს

**როგორც** გაუწყეთ, რეგბისტთა საკავშირო პირველობის IX ტურის მატჩში, რომელიც წყალტუბოში გაიმართა, ქუთაისის „მშენებელმა“ დაამარცხა ალმა-ათის ასკ — 13:0 და ლიდერობა შეინარჩუნა. თბილისის „ლოკომოტივი“ კიევში „ავიატორთან“ დამარცხდა — 3:16 (0:0). კვლავ წარუმატებლად ითამაშა თბილისის „შევარდენმა“. გუნდმა ჯერ ტირასპოლში წააგო „ელექტრომაშთან“ — 0:6, კვირას კი (სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტადიონზე) XI ტურის გადმოტანილ შეხვედრაშიც დამარცხდა ალმაათელ რეგბისტებთან — 3:10. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „სლავა“ — „პრიმორიეცი“ 34:0, „ფილი“ — სსა 24:19.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 26 მაისისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ქ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მშენებ.“ (ქ.) | 9 | 8 | 0 | 1 | 25 | (—2) |
| „ავიატ.“ (კ.) | 9 | 7 | 1 | 1 | 24 | (—3) |
| ასკ (ა.-ა.) | 10 | 6 | 2 | 2 | 24 | (—6) |
| სსა (მონინო) | 9 | 5 | 2 | 2 | 21 | (—6) |
| „ლოკომ.“ (თბ.) | 9 | 5 | 0 | 4 | 19 | (—8) |
| „სლავა“ (მ.) | 9 | 5 | 0 | 4 | 19 | (—8) |
| „ფილი“ (მ.) | 9 | 4 | 1 | 4 | 18 | (—9) |
| „ელექ.“ (ტირ.) | 9 | 4 | 1 | 4 | 18 | (—9) |
| ეტს (კრასნ.) | 8 | 3 | 1 | 4 | 15 | (—9) |
| „ლოკომ.“ (მ.) | 8 | 2 | 0 | 6 | 12 | (—12) |
| „პრიმორ.“ (ლ.) | 9 | 1 | 0 | 8 | 11 | (—16) |
| „შევარდენი“ | 10 | 0 | 0 | 10 | 10 | (—20) |

დღეს კიევში შედგება ლიდერების — „მშენებლისა“ და „ავიატორის“ მატჩი, ხვალ კი თბილისის გუნდები შეხვდებიან ერთმანეთს.

# სასიამოვნო მოულოდნელობა

**საქართველოს** მოჭადრაკე ქალთა IX საერთაშორისო ტურნირის მონაწილემ, ახალგაზრდა ქუთაისელმა ოსტატმა, რესპუბლიკის ექსჩემპიონმა ჰენრიეტა ლაგვილავამ გულშემატკივრები გაარცა. იგი არ ეპუება მრავალნაცად მეტოქეებს, არად დაგიდევთ მათ მაღალ ტიტულებს და შეუპოვრად იბრძვის, ჰენრიეტას 7 ტურში 3 ქულა აქვს და 3 პარტია მისთვის უკეთეს პოზიციაშია გადადებული.

კვირას ლაგვილავა ტურნირის ერთპიროვნულ ლიდერს ელენა ახმილოვსკაიას შეხვდა. თავიდან უპირატესობა ახმილოვსკაიას მხარეზე იყო. მან ცენტრი პაიკებით გადაკეტა და მეფის ფრთაზე წამოიწყო იერიში. კრიტიკულ სიტუაციაში ლაგვილავამ ხარისხი და ორი პაიკი მოიგო. პოზიცია გამწვავდა, პარტია მეტად რთულ მდგომარეობაში გადაიდო.

კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა ქეთევან არახამიამ. ამჯერად მან ბულგარელი ოსტატი ევგენია პეიჩევა დაამარცხა.

ლიუდმილა ზაიცევასა და ლიჯია ჟიკმანის პარტიაში რუმინელმა საერთაშორისო ოსტატმა ცენტრში ძლიერი პაიკები მიიღო და პოზიცია გაამარტივა. შემდეგ ზაიცევა ცაიტნოტში მოხვდა და დამარცხდა.

ქრისტინ ნიუბერგმა პაიკი შესწირა ნატალია კონოპლიოვას იმის იმედით, რომ მას უკეთეს პოზიციაში დაიბრუნებდა, მაგრამ კონოპლიოვამ მეტოქეს ამის საშუალება არ მისცა და პარტია მოიგო.

ციალა ქასოშვილისა და ლილიანა ლეშნერის შეხვედრაში ორივე მხარე ფრთხილობდა, ზედმეტ რისკს ერიდებოდა. მიტელშპილში ქასოშვილს კომბინაციის განხორციელებისას სვლა გამორჩა და უპაიკოდ დარჩა. პარტია გადაიდო.

თანაბარ პოზიციაში გადაიდო ქეთევან კახიანისა და თამარ ხუგაშვილის შეხვედრა.

7 ტურის შემდეგ ლიდერთა ჯგუფი ასე გამოიყურება: ელენა ახმილოვსკაია — 5 (2), ქეთევან არახამია — 5 (1), ნატალია კონოპლიოვა — 4,5, ლიჯია ჟიკმანი— 3,5, ჰენრიეტა ლაგვილავა — 3 (3), თამარ ხუგაშვილი 3 (2), ლილიანა ლეშნერი — 3 (1).

**ვასილ ვაშაკიძე,**
**ოსტატობის კანდიდატი.**

## ინფორმაცია

**სოჭი.** მძლეოსანთა საკავშირო შეჯიბრების მონაწილეებს ამინდი ხელს არ უწყობდა. და მაინც ბევრ სახეობაში მაღალი შედეგები აჩვენეს მოასპარეზეებმა. 100 მეტრი თარჯებით ლენინგრადელმა ნატალია გრეშეტნიკოვამ 12,83 წამში განვლო. ეს შედეგი წლეულს მსოფლიოში საუკეთესოა. სადტომში ბელორუსიელმა ალექსანდრე ლეონოვმა 17 მ და 45 სმ დაძლია, რაც წლეულს ევროპაში საუკეთესო შედეგია.

**ტოკიო.** საერთაშორისო ტურნირი მხატვრულ ტანვარჯიშში ბულგარელმა ბიანკა პანოვამ მოიგო — 39,90. ომსკელი ტატიანა დრუჩინინა გამარჯვებულს 0,15 ქულით ჩამორჩა. მესამე ადგილზე იუგოსლაველი მილენა რელინია — 38,475 ქულა.

# რა ხდება ახალი ჩოგბურთში?

## საქინფორმი — „ლელოს“

**45 ქვეყანამ** გამოთქვა ფედერაციის თასის — ქალთა მსოფლიო არაოფიციალური პირველობის საიუბილეო, ოცდამეხუთე გათამაშებაში მონაწილეობის სურვილი. ტურნირი გაიმართება 26 ივლისიდან 2 აგვისტომდე კანადის ქალაქ ვანკუვერში.

ძირითად ასპარეზობაზე უკვე დაშვებულია 19 უძლიერესი გუნდი. მათ პირველი ეტაპის მატჩების შემდეგ კიდევ 13 კოლექტივი შეუერთდება. გუნდური ტურნირი გაიმართება ოლიმპიური სისტემით, დამარცხებული ბრძოლას გამოეთიშება.

პრიზის მაძიებელთა შორის სპეციალისტები, უწინარეს ყოვლისა, ასახელებენ მის ახლანდელ მფლობელს — ამერიკის შეერთებული შტატების გუნდს, რომელშიც გამოვლენ კრის ევერტ-ლოიდი და მარტინა ნავრატილოვა. დიდად აფასებენ 1983–1985 წლების გათამაშებათა გამარჯვებულის — ჩეხოსლოვაკიის ნაკრები გუნდის შანსებს. ამ ქვეყნის გუნდს სათავეში ჩაუდგება ჰანა მანდლიკოვა. ფავორიტთა შორის ასახელებენ აგრეთვე ავსტრალიელ ჩოგბურთელებს, რომლებიც სხვადასხვა წლებში შვიდჯერ ფლობდნენ საპატიო ნადავლს. ფავორიტებს მიეკუთვნება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, აგრეთვე არგენტინელი სპორტსმენები.

სიურპრიზის შემოთავაზება შეუძლია სსრ კავშირის ნაკრებ გუნდსაც. ჩვენი გოგონები განსაკუთრებით ძლიერად ასპარეზობენ წყვილთა თანრიგში. სვეტლანა პარხომენკომ და ლარისა სავჩენკომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწიეს და მსოფლიოს საუკეთესო „დუეტებს“ შორის არიან.

ცნობილია ამ თასის შემდგომი გათამაშების გამართვის ვადები. იგი მოეწყობა გაისად 4–11 დეკემბერს მელბურნში. ტურნირი იქცევა ჩოგბურთის ახალი სტადიონის გახსნას.

საერთოდ კარგ ტრადიციად იქცა ახალი სტადიონების მშენებლობა ფედერაციის თასის გათამაშების გამართვის წინ. ასე იყო იაპონიაში 1985 წელს, როცა ნაგოიაში მწყობრში ჩადგა ჩოგბურთის საუცხოო ცენტრი. ჩინებული სტადიონი გაიხსნა შარშან ჩეხოსლოვაკიაში, რომელსაც 15 კორტი აქვს. აქ მთავარი კორტი თხუთმეტი ათას მაყურებელს იტევს.

მორიგი გათამაშების ორგანიზატორებიც შეეცდებიან თავი არ შეირცხვინონ. სრული სვლით მიმდინარეობს ახალი სტადიონის მშენებლობა. თავისი მასშტაბით იგი მხოლოდ ცნობილ „ფლაშინგ მედოუს“ თუ ჩამოუვარდება, რომელიც ნიუ-იორკის გარეუბანში მდებარეობს.

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციამ გადაწყვიტა განაახლოს მსოფლიო თასის გათამაშება 16 წლამდე ასაკის ჩოგბურთელებისათვის. ფინალური ტურნირი გაიმართება წელს სექტემბერში დასავლეთ გერმანიის ქალაქ ფრეიბურგში.

ასპარეზობაში მონაწილეობის სურვილი 97 ქვეყანამ გამოთქვა, რაც რეკორდული მაჩვენებელია. მორიგ გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებს ჭაბუკთა 50 და გოგონათა 47 გუნდი. დებიუტანტთა შორის არიან ჰაიტის, ქუვეითის, ლუქსემბურგის, მექსიკის, პაკისტანის ნაკრები გუნდები.

ტურნირის ფინალურ სტადიაში 16–16 უძლიერესი გუნდი იასპარეზებს. თოთხმეტი მათგანი გაირკვევა წინასწარი შეხვედრების შემდეგ. უშუალოდ ფინალში დაშვებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდი, როგორც ორგანიზატორი ქვეყნის წარმომადგენელი, აგრეთვე ავსტრალიელი ჩოგბურთელები, რაც ამ რეგიონში შესარჩევი თამაშების გამართვის სიძნელეებთან არის დაკავშირებული.

მსოფლიო თასის წინა გათამაშება სენსაციით დამთავრდა. გოგონებში გაიმარჯვეს ბელგიელმა ჩოგბურთელებმა, რომლებმაც დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის ძლიერი ნაკრები გუნდი. ავსტრალიელმა ჭაბუკებმა მოუგეს ამერიკელ თანატოლებს.

ერთწლიანი შესვენების შემდეგ მსოფლიო თასის გათამაშებაში ახალგაზრდა საბჭოთა ჩოგბურთელებიც ჩაებმებიან.

**ჩოგბურთის** საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელმა კომიტეტმა დისკვალიფიკაცია მისცა ასუნსიონის (პარაგვაი) სტადიონს. ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც განიხილეს ამერიკის შეერთებული შტატების ჩოგბურთის ფედერაციისა და დანიის მსაჯთა ბრიგადის პროტესტი.

დევისის თასის პირველი წრის მატჩზე, რომელიც ასუნსიონში გაიმართა პარაგვაისა და ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებ გუნდებს შორის, მაყურებელი უდისციპლინოდ იქცეოდა, არაობიექტური იყო გვერდითი მსაჯი. სტუმართა გუნდს საფრთხე ელოდა.

მიიღო რა მხედველობაში, რომ პარაგვაის დედაქალაქში ჩოგბურთელთა მატჩების დროს ასეთი სიძნელეები წინათაც ყოფილა, ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კომიტეტმა გადაწყვიტა დისკვალიფიკაცია მიეცა ასუნსიონის სტადიონისათვის. დანარჩენ შეხვედრებს, მათ შორის მეოთხედფინალურ მატჩს ესპანეთის ნაკრებთან, პარაგვაელი ჩოგბურთელები ნეიტრალურ მოედანზე გამართავენ.

**პარიზში** 85 წლისა, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ოციანი წლების მსოფლიოს ერთ-ერთი გამოჩენილი ჩოგბურთელი ანრი კოშე. როგორც სპეციალისტებს მიაჩნიათ, მის სახელთან დაკავშირებულია „საფრანგეთის საჩოგბურთო დიდება“. კოშე მსოფლიო ჩოგბურთის ყველა უმაღლესი ტიტულის მფლობელია: უიმბლდონის ჩემპიონი ერთეულთა (1927–29 წლები) და წყვილთა თანრიგში (1926–28 წლები), ამერიკის შეერთებული შტატების ღია პირველობის გამარჯვებული (1928 წელი), საფრანგეთის რვაგზის ჩემპიონი.

„ფრანგ მუშკეტერთა“ განთქმულმა ოთხეულმა, რომელშიც უპირველეს როლს ა. კოშე ასრულებდა, ექვსჯერ მოიპოვა დევისის თასი 1927–1933 წლებში.

ოცდაათიან წლებში ა. კოშე ორჯერ ჩამოვიდა სსრ კავშირში. მოსკოვში, ლენინგრადსა და თბილისში მან საჩვენებელი მატჩები გამართა საბჭოთა სპორტსმენებთან.

**ა. მეტრეველი,**
**საქინფორმის სპორტული მიმომხილველი.**




**სურათებზე:** მარცხნივ — ჩოგბურთის ახალი სტადიონი პრაღაში; ქალთა მსოფლიო არაოფიციალური ჩემპიონატის მთავარი პრიზი — „ფედერაციის თასი“.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

## ლაურეატები

**მოსკოვში** დამთავრებულ ტანვარჯიშის ევროპის ჩემპიონატის [illegible] სილივაში და ალმაათელი ვალერი ლიუკინი [illegible] მედალი წაიღეს. სილივაშმა თავის წილად 4 ოქროს და ერთი ვერცხლის მედალი მიიღო. თანაც თავისუფალ ვარჯიშში ორჯერ უმაღლესი შეფასება — 10–10 ქულა დაიმსახურა.

ვაჟთა შორის ყველა ოქროს მედალი საბჭოთა სპორტსმენებმა გაინაწილეს. ლიუკინს ერგო ხუთი უმაღლესი ჯილდო, ერთი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი. თითო ოქროს მედალი იური კოროლიოვმა და ვალენტინ მოგილნიმ დაისაკუთრეს.

ოთხდღიანი ბრძოლის შემდეგ მედლები ქვეყნებს შორის ასე განაწილდა:

| | ო. | ვ. | ბ. |
|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 8 | 4 | 3 |
| რუმინეთი | 4 | 3 | 3 |
| გდრ | — | 3 | 3 |
| ბულგარეთი | — | 2 | 1 |
| უნგრეთი | — | — | 3 |
| გფრ | — | — | 2 |

## ჭაბუკები ითამაშებენ „დინამოზე“

**27 მაისს** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგება ჭაბუკ ფეხბურთელთა მეტად საინტერესო მატჩი. „სიჭაბუკის“ თასის რესპუბლიკური გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდებიან თბილისისა და რუსთავის 1972–73 წლებში დაბადებულ ჭაბუკთა ნაკრები გუნდები.

მატჩი დაიწყება 18 საათზე.

## ტელეტაიპი - მკითხველი

**ფლორენცია.** ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირში („გრან-პრი“), 21 წლის ანდრეი ჩესნოკოვმა პირველი ადგილი დაიკავა. ფინალში მან იტალიელი ალესანდრო დე მინიკსი დაამარცხა — 6:3, 6:1.

**ლონდონი.** დიდი ბრიტანეთის მრავალდღიანი ველორბოლის მერვე ეტაპი საბჭოთა გუნდის წევრმა იგორ სუმნიკოვმა მოიგო. ამ შეჯიბრებას ინგლისელი მალკოლმ ელიოტი ლიდერობს.

**ანტვერპენი.** მოცურავეთა საერთაშორისო შეჯიბრებაში კარგად იასპარეზა დნეპროპეტროვსკელმა ვადიმ იაროშჩუკმა. 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში მან პირველი ადგილი დაიკავა — 2.07,95. გამარჯვება მოიპოვა, აგრეთვე, სერგეი ზაბოლოტნიმ (100 მ. ზურგზე — 56,78). ელენა დენდებეროვასა და სვეტლანა კუზმინას მეორე ადგილები ხვდათ.


# კვირას, 31 მაისს

თბილისის სპორტის სასახლეში ჩატარდება ქართულ ჭიდაობაში სოფლებისა და ქალაქების უბნების რესპუბლიკური პირველობის ფინალური შეხვედრები, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სპორტსახკომი და საქართველოს პროფკავშირული სპორტული საზოგადოების რესპუბლიკური საბჭო.

ერთმანეთს ხვდებიან: სოფელი ვაყა (ხაშურის რაიონი) — ციხისუბანი (ქ. გორი) — მესამე ადგილისთვის;

სოფელი ქისტაური (ახმეტის რაიონი) — სოფელი მარტყოფი (გარდაბნის რაიონი) პირველი ადგილისთვის.

დასაწყისი 16 საათზე.




## ბრაზილიელთა მარცხი

ევროპაში სტუმრად ჩამოსულმა ბრაზილიის ფეხბურთელთა ეროვნულმა გუნდმა მეორე ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართა. ბრაზილიელები დუბლინში შეხვდნენ ირლანდიის ნაკრებს, გამარჯვება მასპინძლებს ხვდათ წილად, ერთადერთი ბურთი პირველ ტაიმში გაიტანა ბრეიდიმ.

ბრაზილიის ნაკრებმა დუბლინში იმავე შემადგენლობით ითამაშა, როგორც ლონდონში ინგლისელებთან (1:1), მაგრამ მათ ამჯერად ვერ დატოვეს კარგი შთაბეჭდილება.

ბრაზილიის ნაკრების ევროპაში ჩამოსვლასთან დაკავშირებით ბრიტანული ფეხბურთის მესვეურებმა გადაწყვიტეს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის სტენლი როუზის სახელობის პრიზის გათამაშება.



გლაზგოში ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ინგლისის გუნდები, თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

პრიზისთვის ბრძოლაში წინაა ინგლისის ნაკრები, რომელმაც ბრაზილიისა და შოტლანდიის გუნდებთან მატჩებში 2 ქულა დააგროვა. დღეს გლაზგოში ერთმანეთს შეხვდებიან ბრაზილიისა და შოტლანდიის ფეხბურთელები.

## ეკრანზე და ეთერში

**ცენტრალური ტელევიზია. 26 მაისი.** დილის დაჭურვა — 8.00 (1); დილის ტანვარჯიში — 9.00 (2); სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მოსკოვი) — 19.30 (2).

**საქართველოს ტელევიზია. 26 მაისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (თბილისი) — 20.00.

**საქართველოს რადიო. 26 მაისი.** სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: „გურია“ (ლანჩხუთი) — „დინამო“ (თბილისი) — 21.00.

## „სპორტლოტო“

**გუშინწინ** მოსკოვში შედგა „სპორტლოტოს“ მორიგი 21-ე ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 18 (მძლეოსნობა), 24 (ხელბურთი), 30 (ძალოსნობა), 31 (ფარიკაობა), 40 (რიკაობა), 42 (ჩოგბურთი).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 13 (სამთო-სათხილამურო სპორტი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 17 (ციგურაობა), 30 (ძალოსნობა), 34 (ბალახის ჰოკეი).


**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**



ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსის დირექცია აცხადებს, რომ რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატთან ერთობლივი ინიციატივით კომპლექსზე მუშაობას იწყებს ცურვის შემსწავლელი ჯგუფები წვევამდელთათვის. მეცადინეობა ჩატარდება მხოლოდ კვირაობით. მიმართვები სამედიცინო დასკვნებისთვის გაიცემა 27 მაისიდან, მეცადინეობა დაიწყება 7 ივნისიდან. კვირაობით კომპლექსზე ივარჯიშებს, აგრეთვე ცურვის შემსწავლელი ჯგუფები ქალთათვის, ასაკი შეუზღუდავია.

ჩვენი მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. პირველი შესახვევი, № 34. ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კომპლექსი. ცნობებისათვის დარეკეთ: 99-80-19 ან 99-82-31.



**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096.
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

**რედაქციის ტელეფონები:**
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
წერილების განყოფილება — 93-97-55,
„მერანი“ — 93-97-26, „მართვე“ — 93-97-27.

**ჩვენი ინდექსი:** 66425

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 21 უე 06926